თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 3

ქ. თერჯოლა 4 მარტი 2025 წელი

სხდომას უძღვებოდა: კომისიის თავმჯდომარე თემურ ქოჩიაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: 1. თემურ ქოჩიაშვილი, 2. გიორგი ბარათაშვილი, 3. ნინო მახათაძე, 4. გოჩა ვერულაშვილი, 5. დავით გოგბერაშვილი, 6. მანუჩარ ფანჩულიძე, 7. გრიგოლ გიორგაძე, 8. ფრიდონ გვენეტაძე,

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. რამინი რობაქიძე, 2.კობა კირკიტაძე, 3.როლანდი მესხი.

კომისიის შემადგენლობა: 11 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა : 8 წევრი
კვორუმი: 6 წევრი

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 4 დეკემბრის №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282506350, 04.03.2025 წ.);

მომხს.: თ ქოჩიაშვილი

2. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ" ინფორმაცია (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282504868, 17.02.2025 წ.).

მომხს. : თ. ქოჩიაშვილი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 8, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

2024 წლის 4 დეკემბრის №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია მთავრობის განკარგულებამ და ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ.

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა 1800.0 ათასი ლარით და შეადგენს 31792.6 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 1800.0 ათასი ლარით. გრანტი (ფინანსური დახმარება 1500.0 ათასი ლარი და სტიქია 300.0 ათასი ლარი).

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 1800.0 ათასი ლარით. მ/შორის:

გზებისა და ხიდების, მიმდებარე ტერიტორიების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯი გაიზარდა 300.0 ათასი ლარით.

დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის დაფინანსება გაიზარდა 300.0 ათასი ლარით.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მართვის დაფინანსება გაიზარდა 30.0 ათასი ლარით.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დაფინანსება გაიზარდა 720.0 ათასი ლარით.

სკოლისგარეშე განათლების დაფინანსება გაიზარდა 70.0 ათასი ლარით.

სპორტული სკოლის დაფინანსება გაიზარდა 125.0 ათასი ლარით.

სახელოვნებო განათლების კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის დაფინანსება გაიზარდა 50.0 ათასი ლარით.

სახელოვნებო სკოლების დაფინანსება გაიზარდა 50.0 ათასი ლარით.

ბიბლიოთეკების დაფინანსება გაიზარდა 39.0 ათასი ლარით.

კულტურის სახლის დაფინანსება გაიზარდა 95.0 ათასი ლარით.

მუზეუმების დაფინანსება გაიზარდა 21.0 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 8, წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: მოწონებული იქნას ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 4 დეკემბრის №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი და განსახილველად გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

2.

მოისმინეს: მომხსენებლმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ" ინფორმაცია - თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში განხორციელდა შემდეგი სახის ცვლილები და ასახული იქნა თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში:

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობები (ტრანსფერი გაიზარდა 157.0 ათასი ლარით) განისაზღვრა 29992.6 ათასი ლარის ოდენობით.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ასიგნებები განისაზღვრა 29992.6 ათასი ლარის ოდენობით.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის გადასახდელების საბიუჯეტო პროგრამა, კომნუნალური მეურნეობის განვითარების ასიგნება(პროგრამული კოდი 02 04) გაიზარდა 157.0 ათასი ლარით და განისაზღვრა 1054.9 ათასი ლარის ოდენობით.

გადაწყვიტეს: მოწონებული იქნას ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ" ინფორმაცია და განსახილველად გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარე

თემურ ქოჩიაშვილი